# რწმუნებულება

თბილისი, 01 მარტი, 2016 წელი.

შპს სპორტ-ბიზნესი **(205009346**, დირექტორი ილია პაიჭაძე) აძლევს რწმუნებულებას მალხაზ გობოსაშვილს (59001009943) და მარიამ ფარცვანიას (01030022181), რათა მათ წარმოადგინონ და დაიცვან შპს სპორტ-ბიზნესის ინტერესები საქართველოს ადმინისტრაციულ ორგანოებში, საქართველოს ყველა ინსტანციის სასამრთლოში, ასევე ყველა სხვა პირთან ურთიერთობაში და აწარმოონ შესაბამისი ადმინისტრაციული და სამოქალაქო საქმეები.

რწმუნებულები უფლებამოსილნი არიან მარწმუნებლის სახელით განახორციელონ ყველა მოქმედება, რაც გათვალისწინებულია საქართველოს კანონმდებლობით, მათ შორის:

რწმუნებულნი უფლებამოსილნი არიან შეიტანონ განცხადება ადმინისტრაციულ ორგანოში, ასევე განცხადება ან/და სარჩელი სასამართლოში, განაცხადონ შუამდგომლობები, გააკეთონ ზეპირი და წერილობითი ახსნა-განმარტებანი, გამოითხოვონ ინფორმაცია ადმინისტრაციული ორგანოებიდან და სასამართლოებიდან, გაეცნონ საქმის მასალებს, გაასაჩივრონ ადმინისტრაციული ორგანოს და სასამართლოს ნებისმიერი აქტი, წარადგინონ სააპელაციო და საკასაციო საჩივრები.

რწმუნებულნი ასევე უფლებამოსილნი არიან ნაწილობრივ ან მთლიანად უარი თქვან სარჩელზე, შეცვალონ სარჩელის და განცხადების საფუძველი და საგანი, გაადიდონ ან შეამცირონ სასარჩელო მოთხოვნა, დაამთავრონ საქმე მორიგებით.

არავინ არ აქვს უფლება ეჭვქვეშ დააყენოს რწმუნებულების სხვა უფლებამოსილებანი იმ მიზეზით, რომ ისინი ამ რწმუნებულებაში არ არის მოხსენიებული. რწმუნებულები უფლებამოსილნი არიან შეასრულონ სხვა ნებისმიერი მოქმედება, რაც არ არის აღნიშნული ამ რწმუნებულებაში, მაგრამ აუცილებელია მარწმუნებლის უფლებების და ინტერესების დასაცავად.

მარწმუნებელსა და რწმუნებულებს შორის ურთიერთობის პირობები რეგულირებულია ხელშეკრულებით იურიდიული მომსახურების შესახებ.

რწმუნებულება გაცემულია ერთი წლის ვადით.